შეთანხმება

2017 წლის 28 აპრილის №65 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

ჩოხატაური 3 მაისი 2017 წელი

ერთის მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი გამგებლის - ირაკლი კუჭავას სახით და მეორე მხრივ შპს ,,ხევი+" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი მამალაძის სახით, 2017 წლის 28 აპრილის №65 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

2017 წლის 28 აპრილის №65 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ხელშეკრულების მე–2 მუხლს (შესყიდვის ობიექტი) დაემატოს 2 ობიექტი შემდეგი რედაქციით:

- სოფ. გუთურში ბავშვთა სასკოლო მზაობის ცენტრის შენობის სახურავის აღდგენა
- საჭამიასერის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის სახურავის აღდგენა

ბ) ხელშეკრულების მე–6 მუხლის 6.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 11 მაისის ჩათვლით.

გ) ხელშეკრულების მე–12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- 12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2017 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 11 მაისის ჩათვლით.
- 12.2 ხელშეკრულების მოწმედების ვადა განისაზღვება 2017 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 11 ივნისის ჩათვლით.

2017 წლის 28 აპრილის №65 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.

წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2017 წლის 28 აპრილის №65 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს. ,,ხევი''
ს/კ 242008705	ს/კ 441993933 სს ,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი № TBCBGE22 ა/ა GE49TB7392336050100001
---	---
გამგებელი: ირაკლი კუჭავა	დირექტორი: გიორგი მამალაძე